განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
22. 11. 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
11. 01. 2019

თბილისი
2019

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. ამჟამად, პროგრამა გადის ხელახალ აკრედიტაციას.

საავკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნება როგორც უნივერსიტეტის რეგიონულ თავისებურებებს, ასევე, იმ გამოცდილებას, რაც ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფუნქციონირების დროს დაგროვდა.

პროგრამის სასწავლო კურსები (ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა), ქართულის როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი), ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია, მართლწერის ძირითადი ნორმები, დარგობრივი ლექსიკა (სამართალი, ფილოლოგია, პედაგოგიკა, ეკონომიკა, მათემატიკა) ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ასევე, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული სწავლების კომპონენტი, კერძოდ, სასწავლო კურსი „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება." ასევე, სასწავლო კურსში გათვალისწინებულია ენისა და საგნის ინტგრირებული სწავლების მეთოდები.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის ბრძანების #1036, 15.11.2018 თანახმად, 2018 წლის 22 ნოემბერს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნ. პოპიაშვილი, თ. ჩოკორაია.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო აღნიშნული პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. 19 ნოემბრიდან ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო ვიზიტისათვის მზადება, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, ხოლო 20 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ნ. პოპიაშვილი, თ. ჩოკორაია) და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხესა და ახალქალაქში მდებარე სასწავლო კორპუსებში. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა

შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორთან, რექტორის მოადგილეებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან). შემდეგ შედგა ინტერვიუები საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მოქმედ სტუდენტებს და პროგრამის კურსდამთავრებულებს. ვიზიტის ფარგლებში დავათვალიერეთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზები, აუდიტორიები, საერთო საცხოვრებელი ახალციხეში).

შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა პროგრამა, მისი , სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია და ცალკეული სილაბუსები, ასევე გავეცანით სტუდენტთა ერთიან ელექტრონულ ბაზას და სხვ. დაისვა ყველა ის კითხვა, რომელიც აქტუალური იყო პროგრამის შესახებ დასკვნის გამოტანის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიმართულია იმ უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებისაკენ, რომელიც კურსდამთავრებულს ესაჭიროება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისათვის. სტუდენტს ქართულ ენაში მიღებული ცოდნა და უნარები ((B1+/B2 დონე, ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების სკალის (CEFR) მიხედვით) ეხმარება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვასა და სრულყოფილ ინტეგრაციაში.

პროგრამის მიზნები სავსებით შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი მულტიეთნიკურ რეგიონში მდებარეობს. უნივერსიტეტის კორპუსები (სულ სამი კორპუსი და საერთო საცხოვრებელი) განლაგებულია ქალაქ ახალციხესა და ქალაქ ახალქალაქში. უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანია: „რეგიონის არაქართულენოვანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა". აღნიშნული საკითხი ასახულია ქართული ენის მომზადების პროგრამაშიც.

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ენის მომზადების პროგრამასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქართული ენის სწავლა/სწავლებასთან, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის მიმართულებით მუშაობენ. ასევე, უნივერსიტეტის

აღნიშნულ პროგრამასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა უნივერსიტეტები, უნივერსიტეტთა კოალიციები - სხვადასხვა საერთაშორისო და ერთობლივი პროგრამებისა და პროქტების სახით, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და კომპეტენციების სათანადო კვალიფიკაციას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს; სწავლის შედეგები შედგება ექვსი ნაწილისაგან და სრულად ასახავს ენის ოთხ სამეტყველო ფუნქციას: წერას, კითხვას, მოსმენასა და ლაპარაკს.პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის რეკომენდებულ დოკუმენტს ენის ფლობის დონეების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას ქართულის, როგორც მეორე ენის დონეების აღმწერს. ასევე, შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს. ქართულ ენაში მომზადების პროგრამას კვალიფიკაცია არ ენიჭება, თუმცა პროგრამის კურსდამთავრებული განაგრძობს სწავლას ბაკალავრიატის საფეხურზე, რაც ქართული ენის შესაბამისი კომპეტენციების ფლობას ითვალისწინებს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, არჩევითი დარგობრივი კურსების პარალელური სწავლება. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულებს რამდენიმე საგანსა და მიმართულებაში ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას და სწავლების შემდეგ საფეხურზე ენობრივი სირთულეებისა და ბარიერების დაძლევას.

სასურველია, სტუდენტთა რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად, წინასწარ განისაზღვროს სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციები.

სასურველია, სტუდენტთა უკეთესი ინტეგრაციის მიზნით, ახალქალაქის კორპუსში შეიქმნას სტუდენტური კლუბი, ან საბჭო სტუდენტური აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. აღნიშნული დროიდან დაგროვილი გამოცდილება და რეკომენდაციები კი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის დროს. პროგრამას დაემატა რამდენიმე საგანი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, გარდა პირველი აკრედიტაციის დროს აპრობირებული კურსებისა, პროგრამაში შესულია რამდენიმე დამატებითი საგანი, რაც სწავლის შედეგზეა ორიენტირებული. დღეისათვის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს შემდეგ კურსებს: ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა), ქართული როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი), ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია, მართლწერის ძირითადი ნორმები, დარგობრივი ლექსიკა (სამართალი, ფილოლოგია, პედაგოგიკა, ეკონომიკა, მათემატიკა, ტოლერანტობა და მრავალფეროვნება). აღნიშნული საგნების შემუშავება მოხდა ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების მიხედვით და უნივერსალურია საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

აღნიშნული საგნების სილაბუსებში შესულია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უახლესი სახელმძღვანელოები, რომლებიც შემუშავებულია და გამოცემულია სხვადასხვა უნივერსიტეტის, ასევე, უნივერსიტეტების კოალიციების მიერ და აპრობირებულია როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უნივერსიტეტებში. სილაბუსებში შესული სახელმძღვანელოების უმრავლესობა არის თანამედროვე, უახლეს წლებში შექმნილი წიგნები, რომელთა დიდი ნაწილი არის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის შექმნილი.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიმართულია იმ უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებისაკენ, რომელიც კურსდამთავრებულს ესაჭიროება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისათვის. სტუდენტს ქართულ ენაში მიღებული ცოდნა და უნარები ((B1+/B2 დონე, ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების სკალის (CEFR) მიხედვით) ეხმარება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვასა და სრულყოფილ ინტეგრაციაში.<br>პროგრამის მიზნები სავსებით შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი მულტიეთნიკურ რეგიონში მდებარეობს. უნივერსიტეტის კორპუსები (სულ სამი კორპუსი და საერთო საცხოვრებელი) განლაგებულია ქალაქ ახალციხესა და ქალაქ ახალქალაქში. უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანია: „რეგიონის არაქართულენოვანი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა". აღნიშნული საკითხი ასახულია ქართული ენის მომზადების პროგრამაშიც.<br>სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში არსებულ ქართული ენის მომზადების პროგრამასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქართული ენის სწავლა/სწავლებასთან, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის მიმართულებით მუშაობენ. ასევე, უნივერსიტეტის აღნიშნულ პროგრამასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა |

| |
|---|
| უნივერსიტეტები, უნივერსიტეტთა კოალიციები სხვადასხვა საერთაშორისო და ერთობლივი პროგრამებისა და პროქტების სახით, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და კომპეტენციების სათანადო კვალიფიკაციას.<br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს; სწავლის შედეგები შედგება ექვსი ნაწილისაგან და სრულად ასახავს ენის ოთხ სამეტყველო ფუნქციას: წერას, კითხვას, მოსმენასა და ლაპარაკს.პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური; შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის მისია; |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან |

| შესაბამისობა |
| --- |
| ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| --- |
| ☐ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>☐ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>☐ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის შედეგები აღწერილია ადეკვატურად, რეალისტურია და სრულად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სასწავლო კურსებით სტუდენტი სრულად აღწევს იმ შედეგებს, რაც პროგრამაშია გაწერილი. პროგრამა შედგება, როგორც საკომუნიკაციო, წერითი კომპონენტებისაგან, ისე სტუდენტს საშუალებას აძლევს ისწავლოს საბაზისო დარგობრივი ლექსიკა, რაც მას გაუადვილებს ბაკალავრიატში წარმატების მიღწევას. სტუდენტთა რეალური საჭიროებების შესაბამისად, 2012 წლის შემდეგ, პროგრამამ მცირე ცვლილებები განიცადა. დაემატა საგნობრივი ლექსიკა და კრებსითი გამოცდა, რომელიც ჯამურად აფასებს სტუდენტის ენობრივ კომპეტენციას კურსის დასრულების შემდგომ.<br>ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში შედგება 6 ძირითადი პუნქტისგან და სრულად ასახავს ქართული ენის ოთხივე სამეტყველო ფუნქციაში (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) მისაღწევ კომპეტენციებს, ცალკე შედეგი ეთმობა გრამატიკა-ორთოეპია და ორთოგრაფიას, განსაკუთრებით გამოიყოფა ბოლო შედეგი, რომელიც აერთიანებს სწავლის სწავლასა და კურსების უმრავლესობაში გათვალისწინებულ კულტურული მრავალფეროვნების აღქმის უნარს.<br>ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დანერგილია სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულები, რასაც განსაზღვრავს როგორც მეთოდოლოგიური მიდგომა, ისე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლო სამი წლის განმავლობაში დაფიქსირებული პრაქტიკა. სწავლის |

შედეგების შეფასების მეთოდებში დანერგილია როგორც სტუდენტთა საგამოცდო შეფასებების მეთოდი, ისე, ქართულ ენაში მოზადების პროგრამის დასრულების შემდეგ, საბაკალავრო პროგრამის პირველ და მეორე სემესტრში მონიტორინგის სისტემა.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის რეკომენდებულ დოკუმენტს ენის ფლობის დონეების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას ქართულის, როგორც მეორე ენის დონეების აღმწერს. ასევე, შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს. ქართულ ენაში მომზადების პროგრამას კვალიფიკაცია არ ენიჭება, თუმცა პროგრამის კურსდამთავრებული განაგრძობს სწავლას ბაკალავრიატის საფეხურზე, რაც ქართული ენის შესაბამისი კომპეტენციების ფლობას ითვალისწინებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ გარკვეული სირთულეები ბაკალავრიატის საფეხურის პირველ და მეორე კურსზე, რაც გამოწვეულია საბაკალავრო პროგრამებით გათვალისწინებული დარგობრივი კურსების ლექსიკური, სინტაქსური და შინაარსობრივი თავისებურებებით. სტუდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნულ სირთულეებს ეტაპობრივად უმკლავდება ენობრივი კომპეტენციების ამაღლებით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელახალი აკრედიტაციისათვის დაინერგა არჩევითი კურსები მეორე სემესტრიდან, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკისა და შინაარსობრივი ასპექტების შესწავლას. დარგობრივი კურსები დანერგილია საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და წარმატებით არის აპრობირებული საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელების მხრიდან, თუმცა, სასურველია დარგობრივი კურსების მრავალფეროვნებასთან ერთად მათი პარალელური სწავლების ხელშეწყობაც, რაც დაეხმარებოდა პროგრამის კურსდამთავრებულებს რამდენიმე საგანსა და მიმართულებაში ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებასა და სწავლების შემდეგ საფეხურზე ენობრივი სირთულეებისა და ბარიერების დაძლევაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- სტუდენტებთან ინტერვიუ;

○ ლექტორებთან ინტერვიუ.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, არჩევითი დარგობრივი კურსების პარალელური სწავლება. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულებს რამდენიმე საგანსა და მიმართულებაში ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას და სწავლების შემდეგ საფეხურზე ენობრივი სირთულეებისა და ბარიერების დაძლევას.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით: მშობლიურ ენაზე უნარების ტესტის ჩაბარება და უნარების ტესტის მინიმალური ზღვარი, უნივერსიტეტში რეგისტრაცია. ამრიგად, პროგრამაზე დაიშვებიან შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის პირები, რომლებიც მზად არიან დაძლიონ პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და მიაღწიონ გაწერილ შედეგებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამა; |

○ ვებგვერდი;

○ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 47, პუნქტი 3.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს განათლების დემოკრატიზაციას, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტი და პრიორიტეტია. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა რეგიონის განსაკუთრებულობისა და თავისებურებების გათვალისწინებით, პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ფონდებისა და პროგრამების დახმარებით, სთავაზობს სტუდენტებს კომპეტენტურ და მიზანზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულ პროგრამას აქვს აბიტურიენტების მხრიდან შესაბამისი დაინტერესება.

პროგრამის ინიცირება მოხდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამამ გაითვალისწინა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული თავისებურებები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გამოცდილება, ასევე, შესაბამისი სტანდარტები ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების ტენდენციები. პროგრამის შედგენა მოხდა აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისად, ასევე, უსდ-ში არსებული შიდა ინსტრუქციებისა და პროცედურების დაცვით. პროგრამის სასწავლო კურსები (ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა), ქართული როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა),ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი), ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია, მართლწერის ძირითადი ნორმები, დარგობრივი ლექსიკა( სამართალი, ფილოლოგია, პედაგოგიკა, ეკონომიკა, მათემატიკა)) რეალურად იძლევა საშუალებას პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ასევე, პროგრამაში შეტანილია ინტერკულტურული, მრავალფეროვანი სწავლების კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია კურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ სახით და ენისა და საგნის ინტგრირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. გამოვლინდა პროგრამის შედგენისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>oპრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>oმნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ☐ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>☐ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. აღნიშნული დროიდან დაგროვილი გამოცდილება და რეკომენდაციები კი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის დროს. პროგრამას დაემატა რამდენიმე საგანი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, გარდა პირველი აკრედიტაციის დროს აპრობირებული კურსებისა, პროგრამაში შესულია რამდენიმე დამატებითი საგანი, რაც სწავლის შედეგზეა ორიენტირებული. დღეისათვის საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს შემდეგ კურსებს: ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა), ქართული როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა), ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი), ფონეტიკა. ორთოეპია და ორთოგრაფია, მართლწერის ძირითადი ნორმები, დარგობრივი ლექსიკა (სამართალი, ფილოლოგია, პედაგოგიკა, ეკონომიკა, მათემატიკა, ტოლერანტობა და მრავალფეროვნება). აღნიშნული საგნების შემუშავება მოხდა ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების მიხედვით და უნივერსალურია საქართველოს რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

აღნიშნული საგნების სილაბუსებში შესულია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების უახლესი სახელმძღვანელოები, რომლებიც შემუშავებულია და გამოცემულია სხვადასხვა უნივერსიტეტის, ასევე, უნივერსიტეტების კოალიციების მიერ და აპრობირებულია როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უნივერსიტეტებში. სილაბუსებში შესული სახელმძღვანელოების უმრავლესობა არის თანამედროვე, უახლეს წლებში შექმნილი წიგნები, რომელთა დიდი ნაწილი არის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის შექმნილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

○ საგანმანათლებლო პროგრამა

○ სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რომლის შედეგადაც კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს სწავლის გაგრძელება ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე.

○ აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთი მიზანია საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების არასააუდიტორიო მუშაობის, სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობასაც. ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარკვეულად ხელს უწყობს სტუდენტთა ინტეგრაციას. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტთა ნაწილი სრულფასოვნად არის ჩართული საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, არიან სხვადასხვა საბჭოს, მათ შორის, სტუდენტთა თვითმმართველობის წევრები. მონაწილეობენ სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში, სტუდენტთა წრეებსა და კლუბების წარმატებულ მუშაობაში და სხვ.

○ ახალქალაქის სასწავლო კორპუსში სტუდენტური ცხოვრება არ არის ისე აქტიური, როგორც ახალციხეში. სასურველია, სტუდენტთა უკეთესი ინტეგრაციის მიზნით, ახალქალაქის კორპუსში შეიქმნას სტუდენტური კლუბი, ან საბჭო სტუდენტური აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ საგანმანათლებლო პროგრამა;

○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

სასურველია, სტუდენტთა უკეთესი ინტეგრაციის მიზნით ახალქალაქის კორპუსში შეიქმნას სტუდენტური კლუბი, ან საბჭო სტუდენტური აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში

განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები და აქტიური სწავლება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, ასევე, სალექციო პროცესზე დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ სწავლების ინტერაქციული მეთოდი გამოყენებულია როგორც სალექციო, ისე სასემინარო მუშაობის დროს. ასევე, გამოყენებულია ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები და სხვა. აღსანიშნავია, ისიც, რომ სწავლების დროს გათვალისწინებულია სწავლების ინდივიდუალური მეთოდი, რაც დადებითად აისახება სწავლა/სწავლების ხარისხზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტუდენტებს რეგულარულად უტარდებათ კონსულტაციები.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიზანშეწონილია სწავლა/სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მოხდეს სტუდენტთა თავდაპირველი ენობრივი დიფერენციაციაცია. კერძოდ, სტუდენტთა და ლექტორთა ინტერვიუირების დროს არაერთხელ აღინიშნა, რომ პირველსემესტრელი სტუდენტები გადიან გასაუბრებას, თუმცა არ ხდება მათი ენობრივი დონისა და კომპეტენციების შესაბამისი ტესტირება. ამის გამო, ჯგუფში ხშირად არიან სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის სტუდენტები, რაც ართულებს

საერთო დავალების, მათ შორის, ჯგუფური დავალების სათანადო კვალიფიკაციით შესრულებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ საგანმანათლებლო პროგრამა

○ სილაბუსები

○ ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, სტუდენტთა რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად, მოხდეს სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების წინასწარი განსაზღვრა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები.

სილაბუსები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. სტუდენტთა შეფასებას ლექტორები ირჩევენ ინდივიდუალურად, საგნის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

